ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება

N 47 976
27/12/2016

976-47-4-201612271218

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის საქვაბის შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზციის პროექტის შეთანხმების შესახებ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის საქვაბის შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი,რომელიც დამუშავებულია ს.ს.ი.პ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს მიერ.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილება ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" შესაბამისად თავი XIV მუხლი 65-ე სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი ექვემდებარება შეთანხმებას. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე- 3 ნაწილის ,,ა"პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნას ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის საქვაბის შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსს(სერგო უგრეხელიძე).

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ.N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

რობიზონ გვენეტაძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი

W 3-01

12.01.2017 წ.